მარნეულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024 -2027)

2023 წელი

წინასიტყვაობა

მარნეულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2024 -2027) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებული მხარეების თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს, რაც გამოიხატება არსებული საჭიროებების შესწავლაში და მათ მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს მარნეულის საშუალოვადიან სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად გეგმას, რომელიც ასახავს ადგილობრივ ხედვას, მიზნებს, ამოცანებს, და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი ითვალისწინებდა მაღალ სამოქალაქო აქტივობას, და ინტერესთა ყველა ჯგუფის შეხედულების გაანალიზებას. თანამონაწილეობით პრინციპს ეფუძნება დოკუმენტის შემუშავების პროცესი და წარმოადგენს კომპლექსურ მიდგომას გააერთიანოს სხვადასხვა მხარეების ინტერესები, მოსაზრებები, პრიორიტეტები და პრობლემების გადაჭრის ხედვა, განვითარებისა და პროგრესის საზიარო მიზნის მისაღწევად.

დოკუმენტის შემუშავების ინიციატორი იყო მერი, რომელმაც ჩამოაყალიბა დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელი დაგეგმვის სამუშაო ჯგუფი. დაგეგმვის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა პროექტის ფარგლებში შექმნილი ,,მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო'' მეთოდოლოგიით და უზრუნველყო დაგეგმვის პროცესში სამოქალაქო და კერძო სექტორის მაღალი ჩართულობა, ქალებისა და ახალგაზრდების აქტიური მონაწილეობით. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა მრავალფეროვანი აუდიტორიის მონაწილეობა და ჩართულობა დაგეგმვის პროცესში.

სარჩევი

წინასიტყვაობა **1**

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები 3

2. სიტუაციის ანალიზი **3**

2.1 ძირითადი სოციალურ ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა 3

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა 4

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა 9

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა 10

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი 11

2.6 გარემოს დაცვა 12

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა 13

3. SWOT ანალიზი **14**

4. განხორციელების მექანიზმი **16**

5. აქტივობებეის აღწერა **18**

6. მონიტორინგი და შეფასება **20**

1. მუნიციპალიტეტის ხედვა, მიზნები და ამოცანები

მუნიციპალიტეტის ხედვა

მარნეულის მუნიციპალიტეტის არის ეკონომიკურად სწრაფად მზარდი მუნიციპალიტეტი, ეკონომიკური განვითარების პროცესში აქტიურადაა ჩართული სამოქალაქო და კერძო სექტორი, მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ძლიერი სოფლის მეურნეობით, ტურისტული გარემოთი, სადაც განვითარებულია კულტურულ–ისტორიული, ეკო, აგრო და გასტრო ტურიზმი. განვითარებულია კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურა.

მიზნები და ამოცანები

მუნიციპალიტეტის ხელისუფლებას დასახული აქვს განვითარების შემდეგი მიზნები და ამოცანები:

მიზანი 1.	**ეკონომიკის წამყვანი დარგების ხელშეწყობა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით**
ამოცანა 1.1	აგრო წარმოების განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი ბაზრების განვითარების სტიმულირება
ამოცანა 1.2	კომფორტული საინვესტიციო გარემოს შექმნა
ამოცანა 1.3	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა
მიზანი 2.	**ინფრასტრუქტურა**
ამოცანა 2.1	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
ამოცანა 2.2	წყლის სისტემების განვითარება
მიზანი 3.	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**
ამოცანა 3.1	დასუფთავება და ნარჩენების მართვა
ამოცანა 3.2	რეკრეაციული სივრცეების კეთილმოწყობა

დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გენდერული ასპექტები და ხელი შეეწყობა გენდერული თანასწორობის დამყარებას. წარმოდგენილი მიზნები და ამოცანები ემსახურება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას და აერთიანებს ადგილობრივ დონეზე სიღარიბის დასაძლევად კონკრეტულ ქმედებებს.

2. სიტუაციის ანალიზი

2.1 ძირითადი სოციალურ ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივ-კლიმატური პირობები

მარნეულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს თვითმმართველ ერთეულს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში და მიეკუთვნება ქვემო ქართლის რეგიონს. მარნეულის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება ბოლნისის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით – გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით – აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები. მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია – 935,2 კმ² და ზღვის დონიდან საშუალოდ 420 მ. სიმაღლეზეა. მუნიციპალიტეტის ცენტრი – ქ. მარნეული თბილისიდან დაშორებულია 29 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან, ქ. რუსთავიდან – 48 კმ-ით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრებიდან – 30-30 კმ-ით.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენს ქ. მარნეული, რომელიც დიდ დასახლებად იქცა სოფლების: ლომთაგორა–მარნეულის, ჭანდარ –სანდარისა და სარვანის გაერთიანების შედეგად. უძველესი დასახლებაა ლომთაგორა (წყაროებში პირველად იხსენიება XIII საუკუნეში), რითაც ბოლოვდებოდა მეგალითური (ციკლოპური) ციხეების მწკრივი მდინარე ალგეთის მარჯვენა მხარეს. დასახლებული პუნქტი იყო მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე და საგზაო კვანძი. 1947 წელს აღადგინეს ძველი ქართული სახელწოდება–მარნეული, ქალაქად გამოცხადდა 1964 წელს.

მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობა ძალზე ხელსაყრელია სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრს კვეთს საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები, რომლებიც საქართველოს აზერბაიჯანთან და სომხეთთან აკავშირებს.

ბუნებრივ-კლიმატური პირობები

მარნეულის მუნიციპალიტეტი მშრალი სუბტროპიკული თბილი სტეპების ჰავის ზონაში მდებარეობს და, რელიეფის შესატყვისად, ჰავის ზონალურობა ახასიათებს და ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერ ნოტიოზე გადადის. დამახასიათებელია მზიანი ამინდების ხანგრძლივობა.

მუნიციპალიტეტში არსებული კლიმატი იდეალურია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისათვის, იგი პროდუქციის 2-3 სეზონად მოყვანის შესაძლებლობას იძლევა.

წიაღისეული, სხვა ბუნებრივი რესურსები

მუნიციპალიტეტს აქვს მინერალური რესურსები: დიდი ოდენობით ბაზალტის ქვის საბადო, მარმარილოს ქვის საბადო, ქვაღორღის, გაჯის, თეთრი ქვისა და ინერტული ქვიშის მარაგები. მათი რაოდენობა ეკონომიკური დანიშნულებით გამოყენების საშუალებას იძლევა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოედინება მდინარეები: მტკვარი, ხრამი (ქცია), ალგეთი, დებედა, შულავერა, ბანოვშა და ახკერპის წყალი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები

მუნიციპალიტეტი დაყოფილია 18 ადმინისტრაციულ ერთეულად, მთლიანად მუნიციპალიტეტში 78 დასახლებაა: 1 ქალაქი, და 77 სოფელი. მუნიციპალიტეტის 10 დასახლებას მინიჭებული აქვს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი.

დემოგრაფია და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა

2023 წლის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ((საქსტატი) მონაცემებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 107 900 ადამიანს, აქედან 24 900 ადამიანი ცხოვრობს საქალაქო ტიპის დასახლებაში, ხოლო 84 200 - სასოფლი ტიპის დასახლებაში.

2018 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: აზერბაიჯანელები - 83.1%, ქართველები - 8.03%, სომხები - 7.89 %, ხოლო დანარჩენი - სხვა ეროვნების მოქალაქეები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები აფხაზეთიდან, სამაჩაბლოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან. ასევე, ეკო-ემიგრანტი ოჯახები სვანეთიდან, აჭარიდან და საჩხერიდან. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, ქ. მარნეულში იძულებით გადაადგილებული პირებისათვის აშენდა 2 მრავალბინიანი კორპუსი, ასევე, ქ. მარნეულში, ე.წ. ,,ელევატორის დასახლება“-ში გერმანიის მთავრობის დაფინანსებით აშენდა 31 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში შეინიშნება მიგრაციული პროცესების გააქტიურება, აღინიშნება სეზონური მიგრაცია, როდესაც მოსახლეობა ეკონომიკური ან განათლების მიღების მიზნით ტოვებს საცხოვრებელს, ძირითადად, მიგრაციული პროცესები შეინიშნება: პოლონეთში, ჩეხეთში, იტალიაში, თურქეთში, რუსეთში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

2018 წლის მონაცემებით სხვადასხვა დარგსა და სფეროში დასაქმებული ადამიანების რიცხვი შეადგენს მუნიციპალიტეტის შრომისუნარიანი მოსახლეობის 15% შეადგენს. დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა 2013 წლებიდან სტაბილურად იზრდება 8.7%-ით. ასევე, იზრდება დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება.

მარნეულის მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს სახელმწიფოს მიერ დანერგილი პროგრამების– ,,აწარმოე საქართველოში", ,,ზრდა" ,,დანერგე მომავალი", ,,start up", იაფი კრედიტის პროგრამა და ა.შ მოსახლეობის ინფორმირებულობას, რომელიც ხელს უწყობს, როგორც სოფლის მეურნეობის დარგების ასევე, მიკრო ბიზნესის განვითარებას, მუნიციპალიტეტში მიმდინარე, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხდება ადგილობრივი მოსახლეობის მოკლევადიანი დასაქმება, ხოლო, საინვესტიციო პროექტები ქმნის როგორც დროებით, ასევე მუდმივ სამუშაო ადგილებს.

მუნიციპალიტეტში აშენებულ საბავშვო ბაღებსა და სხვა დაწესებულებებში შეიქმნა მუდმივი სამუშაო ადგილები. მუნიციპალიტეტი ამ მიმართულებით გეგმავს საქმიანობის გაგრძელებას.

სახელმწიფოს მიერ ამოქმედებულმა საკანონმდებლო რეგულაციებმა გაამარტივა და ეფექტური გახადა მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების რეგისტრაცია. რამაც ხელი შეუწყო საინვესტიციო ბაზრის განვითარებას.

თუმცა გამოწვევად რჩება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების განკარგვის საკითხი, ვინაიდან, არსებული ქონება დაკავებულია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, რომელიც ხელს უშლის მიწის ნაკვეთების პრივატიზაციას. მეორე მხრივ, ადგილობრივ ბიუჯეტში არ აისახება ქონების გადასახადის სახით.

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა

2013 წლიდან მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში ჩამოყალიბდა ზრდის ტენდენციები, რომელიც მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგსა და სფეროს. ადგილობრივი ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა (50%–ზე მეტი), ვაჭრობა (25%), გადამამუშავებელი მრეწველობა (15%), სხვა დარგებზე (ძირითადად მშენებლობა, მომსახურება) მოდის ეკონომიკის ხვედრითი წილის 15%, ,,საქსტატი"–ს 2022 წლის მონაცემით, მუნიციპალიტეტში მოქმედი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა შეადგენს 3 860.

2.2.1 სოფლის მეურნეობა

მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობას მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რაც ქვეყნის ისტორიის, ცნობიერებისა და კულტურული მემკვიდრეობის განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე ეტაპზე აგროსასურსათო სექტორის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანას სოფლისა და სოფლის მეურნეობის მაღალი ტექნოლოგიების საფუძველზე განვითარება წარმოადგენს.

მარნეულის მუნიციპალიტეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალის მქონე მუნიციპალიტეტია, რაც განპირობებულია ნიადაგურ-კლიმატური პირობებითა და წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მრავალფეროვნებით.

მუნიციპალიტეტში გამოწვევად რჩება რეგიონისთვის დამახასიათებელი, წარსულში გავრცელებული სოფლის მეურნეობის კულტურების, როგორიცაა: მევენახეობა (მიკროზონებში), მეთამბაქოება, ეთერზეთების კულტურები, კარტოფილისა და პომიდვრის ტრადიციული ჯიშები, რომლის აღორძინების შემთხვევაში ზემო აღნიშნული ჯიშები ბაზარზე სათანადო ადგილს დაიკავებს.

მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულების საერთო რაოდენობა შეადგენს 58,507 ჰა-ს , საიდანაც 31,600 ჰა სახნავია, 1,999 ჰა სათიბი, 1,942 მრავალწლიანი ნარგავი და 22960 ჰა საძოვარი. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად დარგს, რომელშიც დასაქმებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის თითქმის 50%. საქართველოს ეროვნული სასოფლო–სამეურნეო აღწერის შედეგების მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იქნა 28,882 სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების საწარმო და მეურნეობა. მათგან 98.8% (28,818) წარმოადგენს ოჯახურ მეურნეობას. აღწერის შედეგების თანახმად, სასოფლო მეურნეობების 37.6% პროდუქციას აწარმოებს ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის, ხოლო 62.4% – ძირითადად რეალიზაციისათვის.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 37 მსხვილი ფერმერული მეურნეობა, რომელთა მიერ დაკავებული მიწის ფართობი საშუალოდ 20 ჰექტარს აღემატება.

ფერმერული მეურნეობები ძირითადად დაკავებულნი არიან მიწათმოქმედებით, ამასთან, მათგან 25% მთლიანად ან დამატებით მისდევს მესაქონლეობასაც. მიწათმოქმედებაში, ძირითადად ორიენტირებულნი არიან მემარცვლეობა და მებოსტნეობაზე.

მარცვლეული კულტურებიდან ძირითადად გავრცელებულია - ხორბალი და სიმინდი, აღსანიშნავია ,,ლომთაგორა“-ს მეურნეობა, რომლის საქმიანობის უმთავრესი მიმართულება ხორბლისა და სიმინდის სელექცია მეთესლეობაა. კომპანიას გამოჰყავს ხორბლისა და სიმინდის ახალი ჯიშები და ფერმერებს უხვმოსავლიან მაღალი ხარისხის სათესლე მასალას სთავაზობს.(რეკორდული მოსავალი 110 ცენტნერი(11ტონა).

გარდა ამისა, მარცვლოვანი კულტურებიდან გავრცელებულია მზესუმზირა, ქერი და სხვა, ბოსტნეული კულტურებიდან - ხახვი, პომიდორი, წიწაკა, კომბოსტი, ბროკოლი, ბადრიჯანი და სხვა. ხოლო ბაღჩეული კულტურებიდან გოგრა, საზამთრო და ნესვი.

ბოლო პერიოდში აქტუალური გახდა მრავალწლიანი ნარგავების გაშენება (ამერიკული ჩანდლერის ჯიშის კაკალი, ნუში, კენკროვანი მცენარეები და სხვა). ასევე, აქტიურად მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიებით გათვალისწინებული სათბურების მოწყობა. 2016 წლის მდგომარეობით სასათბურე მეურნეობები მოწყობილია დაახლოებით 25 ჰა მიწის ფართობზე. აღსანიშნავია, კაჩაგანში მზის სათბურები, შულავერის, დამია-გეურარხის და სათბურები. 2018 წელს სოფ. აზიზქენდში ექსპლუატაციაში შევიდა მაღალტექნოლოგიური სათბური ,,მზა ჩითილი". სადაც აწარმოებენ, როგორც ჩვეულებრივ, ისე, ნამყენ ჩითილებს. 2020-2023- წლებში დაფინანსდა 32 პირი სასთბურე მეურნეობის მოწყობისათვის (სულ 11 960 კვ/მ ფართობი).

მუნიციპალიტეტში 2020 წლამდე იყო 7 ფერმერი და 22 ტბორი. 2020-2023 წწ. დარეგისტრირდა 8 მეწარმე და სამი ტბორი, სადაც აწარმოებენ თევზის სხვადასხვა ნაირსახეობებს: თეთრი ამური, კობრი, სქელშუბლა, ხრამული, საზანი. ასევე ფუნქციონირებს კომერციული სათევზაო მეურნეობა, სადაც დადგენილი კომერციული თევზჭერის პირობებით, შესაძლებელია თევზაობა, ტერიტორიაზე მოწყობილია შესაბამისი ადგილები დასასვენებლად.

სახელმწიფო პროგრამა ,,დანერგე მომავლის" ფარგლებში 2020 წლამდე 16 მოქალაქემ გააშენა 113,32 ჰექტარზე კაკლის, ხურმის, ვაშლისა და ტყემლის ბაღები. 3.22 ჰექტარზე გაშენდა სანერგე მეურნეობა, ხოლო 0.5 ჰა–ზე გაშენდა ჟოლოს ბაღი. 2020-2023 წწ ხეხილის ბაღების კომპონენტში დაფინანსდა 65 პირი. სულ განაშენიანდა 1500 (ჰა) აქედან ატამი 8(ჰა), ბალი 8(ჰა), ვაშლი10(ჰა), ზეთისხილი 155(ჰა), თხილი 20(ჰა), კაკალი 30(ჰა), კომში 2(ჰა), ლეღვი 4(ჰა), მაყვალი 1(ჰა), ნუში 300(ჰა), ჟოლო 10(ჰა), ტყემალი 4(ჰა), ქლიავი 3(ჰა), ხურმა 5(ჰა).

2020 წლამდე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები დაფინანსდნენ ,,შეღავათიანი აგროკრედიტის", კომპონენტების ფარგლებში. მე–2 კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 368 მოქალაქე გაცემულმა თანხამ ჯამში შეადგინა 17,969,450 ლარი, ხოლო მე–3 კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდა 32 მოქალაქე თანხით 2,637,800 ლარი. 2020-2023 წლებში 2 კომპონენტი სანერგე მეურნეობა, 0, 3 კომპონენტი ჭის, ჭაბურღილის წვეთოვანი სარწყავი სისტემა მოაწყო 3 ბენეფიციარმა.

აღნიშნული პროგრამითა და ,,აწარმოე საქართველო"–ში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებები, როგორიცაა მესაქონლეობა, მევენახეობა, მებოსტნეობა ასევე, გაიხსნა მარცვლეულის საშრობი, პროდუქციის შესანახი მაცივრები, და ა.შ.

დაფინანსებას ხელს უწყობს ქალაქ მარნეულში მდებარე საინფორმაციო ოფისი, რომელიც მოქალაქეებს ეხმარება ადგილზე მიიღონ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობას რწყვის პროცესის ეფექტურად განხორციელების მიზნით ემსახურება 20 ცენტრალური სარწყავი არხი, რომელთა საერთო სიგრძეც 392.1 კილომეტრია. ეს სარწყავი სისტემა 23,035 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გასარწყავებას ემსახურება. ასევე, სასოფლო სამეურნეო სავარგულების მორწყვის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში განთავსებულია 10

ერთეული სარწყავი სატუმბი სადგური, საიდანაც დღეის მდგომარეობით 6 არის მუშა მდგომარეობაში. დაგეგმილია ერთი სატუმბი სადგურის რემონტი და სამის ახლით ჩანაცვლება.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს სარწყავი სისტემების, როგორც გაწმენდითი, ასევე, აღდგენითი სამუშაოები, გამოწვევად რჩება სარწყავი წყლის დეფიცი ზაფხულის პერიოდში. ამ ეტაპზე წყლის უკმარისობა რეგულირდება გრაფიკით. თუმცა, მიმდინარეობს სამუშაოები პრობლემის ბოლომდე აღმოსაფხვრელად. დღეის მდგომარეობით, ირწყვება 14,300 ჰა მიწის სავარგული.

ფუნქციონირებს 5 ერთეული მექანიზაციის ცენტრი, სადაც არსებული ტექნიკა სრულად იძლევა საშუალებას მოთხოვნილების შემთხვევაში სრულად იქნეს მოხნული არსებული სახნავი მიწის ფართობები.

მუნიციპალიტეტში განთავსებულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული მარნეულის სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კონსულტაციის ცენტრი, სადაც სოფლის მეურნეობის კუთხით დაინტერესებულ ყველა ფერმერს აქვს საშუალება მიიღოს ყველა სახის კონსულტაცია.

მუნიციპალიტეტში აგრარული სექტორის პრობლემები და გამოწვევები

პრობლემები:

- **მსხვილფეხა პირუტყვის დაბალი პროდუქტიულობა ამცირებს წარმოებული პროდუქციის რაოდენობას**
- **ბოლომდე გაუმართავი სარწყავი სისტემების სატუმბი სადგურების გამო გასარწყავიანების გარეშეა ფართობების ნაწილი.**
- **პირველადი წარმოების გადამამუშავებელი საწარმოების არასაკმარისი რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში წარმოებული ნედლეულის სრულად ათვისება გადამუშავებას.**

გამოწვევები:

- **სასათბურე მეურნეობების გათბობის სისტემის ხელშეწყობით შესაძლებელი გახდება ზამთრის პერიოდში წარმოებული იქნას სხვადასხვა სახის ბოსტნეული კულტურები, რომელიც ამ პერიოდისათვის რეგიონის ბაზარზე დეფიციტურია და ღირებულებაც უფრო მაღალი აქვს. შესაბამისად გაიზრდება წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტი, რაოდენობა და ფერმერების შემოსავალი**
- **სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნის სტიმულირება სერიოზული წინსვლა იქნება მუნიციპალიტეტისათვის. იგი ხელს შეეწყოს სოფლის მეურნეობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას (მემინდვრეობა-მეცხოველეობა-მეღორეობა-მეფრინველეობა), რაც საბოლოო ჯამში შეამცირებს წარმოებული პროდუქციის თვითღირებულებას და gაზრდის რაოდენობას.**

მარნეულის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური აქტივობა მეტწილად სოფლის მეურნეობას უკავშირდება, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მარნეულის სასურსათო ქარხანა, რომელიც აწარმოებს სამოცამდე დასახელების პროდუტს, ასევე, ფუნციონირებს როგორც სამაცივრე, ასევე, სოფლის მეურნეობის

პროდუქტების შესანახი საწყობები, სამაცივრე შენობიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ქალაქ მარნეულში, მდებარე შ.პ.ს ,,AGROINVEST 146"-ის საკუთრებაში არსებული 5000 ტონიანი სამაცივრე, რომელიც უზრუნველყოფს 3,000 ტონა ბოსტნეულისა და 2000 ტონა ხორცის პროდუქტების შენახვას. ასევე, ფუნქციონირებს საშუალო და მცირე წარმადობის წისქვილკომბინატები.

ქ. მარნეულში ფუნქციონირებს 2 აგრარული ბაზარი და რამოდენიმე ათეული სპეციალიზირებული მაღალტექნოლოგიური სავაჭრო ცენტრები, ისეთები, როგორებიცაა ,,სპარი", ,,მარნეული მოლი" ,,ემბავუდი", ,,კარფური'' ,,ორი ნაბიჯი'' და სხვა, ასევე მრავლადაა აფთიაქები, ბანკის ფილიალები, ბენზინგასამართი სადგურები და სხვადასხვა სახის სამეწარმეო ობიექტები.

2.2.2 ტურიზმი და მომსახურების სფერო

მარნეულის მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარებისათვის გააჩნია საუკეთესო პოტენციალი, რაც გამოიხატება შემდეგში: გეოგრაფიული მდებარეობა, არსებული ლანდშაფტები, დედაქალაქთან სიახლოვე, ბუნების ხედები, საპიკნიკე ადგილები, მსოფლიო, ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული ძეგლები.

ზემოაღნიშნული ტურისტული პოტენციალიდან აღსანიშნავია ძვ. წ. აღ. VII-VI ათასწლეულის ადრესამიწადმოქმედო არქეოლოგიური ძეგლი „გადაჭრილი გორა" სადაც მსოფლიოში პირველად, 8200 წლის წინ, სწორედ აქ, ამ ადგილას ადამიანმა მოაშინაურა ველური ვაზი და დაწურა ღვინო.ასევე, აღმოჩენილია ხორბლის სახეობები, პარკოსნები, რითაც დასტურდება,რომ ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში აქ მცხოვრები ადამიანები სამეურნეო საქმიანობას და მევენახეობა - მეღვინეობას ეწეოდნენ. სოფლის მეურნეობის ეს დარგი დღესაც წამყვანია და დიდ როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში.

აქ აღმოჩენილი ქვევრის ტიპის ჭურჭელი, მსოფლიოში უძველესი საღვინე ჭურჭლად არის აღიარებული. მასში ვაზის ყვავილის მტვერის არსებობა მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში აქ ყურძენს თიხის ჭურჭელში წურავდნენ და ღვინოს ჭაჭაზე დუღილით ამზადებდნენ. ასე გრძელდებოდა ათასწლეულები და ღვინის ქვევრში დაყენების უძველესი ტრადიცია, რომელიც დღესაც ცოცხალია, მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლადაა აღიარებული.

აღმოჩენილი მასალის საფუძველზე ღვინის მუზეუმისა და არქეოლოგიური საიტის მოწყობა კონცეფციით –„საქართველო - ღვინის კულტურის სამშობლო - ღვინის სათავეებთან"– მნიშვნელოვნად და საჭიროდ გვესახება.

ეს არის ღვინის გზის დასაწყისი (ტერმინში - „ღვინის გზა“ - ვგულისხმობთ საქართველოს ტერიტორიაზე ვაზის მოყვანის, ღვინის წარმოების ქრონოლოგიური რიგით განსაზღვრულ მარშრუტს). შესაბამისად, მუზეუმი და არქეოლოგიური საიტი განთავსდება ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე.

ძეგლის მიმდებარე ტერიტორია ოდითგან ცნობილია, როგრც მევენახეობის მიკროზონა, სადაც იწარმოებოდა მაღალი ხარისხის ღვინო. ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც საოჯახო მარნებში, აწარმოებს ღვინოს.

სწორი დაგეგმვის შემთხვევაში არქეოლოგიური ძეგლი გახდება ერთ - ერთი აქტიურად მონახულებადი ტურისტული ობიექტი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ვიზიტორებისთვის. რაც უდაოდ შეუწყობს ხელს ადგილობრივთა დასაქმებას, ლოკალური მეურნეობისა და რეწვის (ღვინის, სუვენირების, კვების პროდუქტების რეალიზება და ა.შ.) და ზოგადად მეღვინეობისა და ტურიზმის განვითარებას ქვეყანაში.

აღნიშნული ძეგლის მიმდებარე ტერიტორია ოდიდგან ცნობილია, როგორც მევენახეობის მიკროზონა, სადაც იწარმოებოდა მაღალი ხარისხის ღვინო. ადგილობრივი მოსახლეობა საოჯახო მარნებში დღესაც აწარმოებენ ღვინოს.

მუნიციპალიტეტს ასევე გააჩნია შესაძლებლობები კულტურულ–ისტორიული, აგრო და გასტრო ტურიზმის განვითარებისათვის. როდესაც მსოფლიოში პოლიტიკურად დაძაბული სიტუაციაა და მუდმივი გამოწვევებია, მარნეულის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება აქ მცხოვრებ ეთნოსებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრება. აქ არის სოფლები სადაც ერთ სოფელში, მშვიდობიანად ცხოვრობს რამოდენიმე ეთნოსი, შესაბამისად შესაძლებელია ამ სხვადასხვა ეთნოსის ადათ-წესების, სამზარეულოს და ცხოვრების სხვა ფაქტების მონახულება. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გვხვდება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ლოკაციები, სადაც ვიზიტორს შესაძლებლობა ექნება დააგემოვნოს სხვადასხვა ეთნოსის ტრადიციული კერები. (საქართველოს სხვადასხვა კუთხის კერძები, აზერბაიჯანული ქაბაბი კასუმლოსა და ქეშალოში, პურის ცხობის ტექნოლოგია სოფელ წერაქვსა და სიონში, ჰალვის დამზადების ტრადიცია შაუმიანში და სხვა).

ვინაიდან, მუნიციპალიტეტი ოდითგან ცნობილია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით - მარნეულის პომიდორი ალგეთის თემში, ბაღჩეული კულტურები კასუმლოს თემში, მევენახეობა შაუმიანის მიკრო ზონაში, სატბორე მეურნეობა თამარისის თემში, მესაქონლეობის ტრადიციული დარგები მთის

ზონაში ქმნის შესაძლებლობას ადგილობრივმა მოსახლეობამ და დაინტერესებულმა პირებმა შექმნან ტურისტული სერვისები და მიიღონ შემოსავალი.

სოფელ ყულარში 1905 წელს, ამიერკავკასიაში პირველად აშენდა ცხენსაშენი კომპლექსი, სადაც დღემდე ბინადრობენ წმინდა სისხლის ცხენები. ამჟამად ცხენსაშენი კერძო საკუთრებას წარმოადგენს და დღეისათვის ერთადერთია რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს, მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეჯიბრებებში და საინტერესო ღონისძიებებში. ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველია, სადაც შესაძლებელია მოეწყოს მასტერკლასები საცხენოსნო სპორტის სახეობებში. ასევე არის საშუალება ცხენსაშენის ბაზაზე განვითარდეს სამედიცინო ტურიზმი, კერძოდ იპოთერაპიის მიმართულებით. არსებული ინფრასტრუქტურა მოძველებულია და საჭიროებს რეაბილიტაციას, შემდგომში თუ გაცოცხლდება ძველი ქართული საცხენოსნო თამაშობები (ისინდი, ცხენბურთი, ყაბახი, მარულა, ბაზიერობა და სხვა) ვიზიტორებისათვის საინტერესო და მიმზიდველი იქნება, შესაბამისად, შეჯიბრებების დროს ადგილობრივ მოსახლეობას მიეცემა საშუალება მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების მიზნით ქ. მარნეულში მეზობელი ქვეყნებისა და მუნიციპალიტეტების დამაკავშირებელი საავტომობილო გზების მიმდებარედ ვიზიტორებისათვის აშენდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ახლო მომავალში მოემსახურება ვიზიტორებს.

ტურიზმის განვითარებისათვის ასევე მნიშვნელოვანია, ვიზიტორებისათვის მიმზიდველ ძეგლებზე **(გადაჭრილი გორა, გაგის ციხე, გორულის ნაქალაქარი, წერაქვის მონასტერი, სადახლოს ძველი მეჩეთი შაუმიანის ეკლესიაები, ბინაძორის ეკლესია და სხვა.)** განხორციელდეს შესწავლითი სამუშაოები და მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა **(რესტავრაცია, გზების მოწყობა, არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობა, და სხვა).**

აუცილებელია საფეხმავლო ბილიკების რესურსის გამოყენება (**სამი მარშრუტი**), დადგენილ მარშრუტებზე **(ერთი მარშრუტი მარკირებულია)** მანიშნებელი და საინფორმაციო დაფების მოწყობა, დასურათება და საინფორმაციო გვერდებზე განთავსება, მუდმივ რეჟიმში ტურისტული რესურსის მოძიება.

ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ფარგლებში, მარნეულის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ხელს შეუწყობს ისტორიული და კულტურული ძეგლების კვლევა– პოპულარიზაციას, რაც გამოიხატება საინფორმაციო ბროშურების, ბუკლეტების, ტურისტული ვებსაიტის დამზადებაში, რომლებიც

წარმოადგენენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ისტორიას და კულტურულ მოვლენებს. მარნეულის ისტორიისა და კულტურის ხაზგასასმელად მოეწყობა კულტურული ღონისძიებები, როგორიცაა ფესტივალები, ბაზრობები და გამოფენები.

აგროტურიზმის განვითარების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დაეხმარება და მხარს დაუჭერს ადგილობრივ ფერმერებს რათა მათ შექმნან ტურისტული მარშრუტები, რომლებიც მოიცავს ფერმერობას და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მონაწილეობას, სადაც ტურისტებს შეეძლებათ გაეცნონ ადგილობრივ სოფლის მეურნეობას, დააგემოვნონ მათ მიერ წარმოებული პროდუქტი და მიიღონ მონაწილეობა მოსავლის აღებაში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში.

გასტრო ტურიზმის და ეროვნული სამზარეულოს განვითარებისთვის უნდა შეიქმნას კულინარიული მარშრუტები, სადაც ტურისტებს შეეძლებათ დააგემოვნონ ადგილობრივი კერძები და სასმელები. მარნეულის ხელმძღვანელობა მხარს დაუჭერს რესტორნებისა და კაფეების განვითარებას, რომლებიც გვთავაზობენ ადგილობრივ სამზარეულოს, დაეხმარება მათ პოპულარიზაციაში.

მარნეულის ხელმძღვანელობა გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურას, როგორიცაა გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სასტუმროს ობიექტები, რათა ტურისტების ყოფნა მარნეულში გახდეს კომფორტული, ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებს მიაწვდის ტურისტულ რუკებს, ბროშურებს და ინფორმაციას ადგილობრივი აქტივობების შესახებ, აქტიურად ითანამშრომლებს ტუროპერატორებთან და ტურისტულ სააგენტოებთან მარნეულის, როგორც ტურისტული ადგილის პოპულარიზაციის მიზნით, მოაწყობს ტრენინგებს ადგილობრივი მოსახლეობის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სტუმართმოყვარეობისა და ტურისტული სერვისების შესახებ. ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა ტურიზმის განვითარებასა და პოპულარიზაციაში აამაღლებს მათ ინტერესს ამ ინდუსტრიის წარმატების მიმართ.

ტურიზმის განვითარებისას ყურადღება გამახვილდება გარემოს დაცვის და ადგილობრივ ეკოლოგიის მიმართ. რეგულარულად ჩატარდება ბაზრის კვლევა გატარებული ღონისძიებების ეფექტურობის შესაფასებლად და განვითარების გეგმების კორექტირებისთვის.

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

2020-2023 წწ განხორციელდა 300-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი. მუნიციპალიტეტი კვლავ აქტიურად განაგრძობს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის, ტურიზმის განვითარებას, მოქალაქეებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

გამოწვევად რჩება ქ. მარნეულის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არარსებობა.

2.3.1 სატრანსპორტო და კომუნალური ინფრასტრუქტურა

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სამი საერთაშორისო მნიშვნელობის და ექვსი შიდა სახელმწიფოებრივი დანიშნულების საავტომობილო გზა. საერთაშორისო ავტოტრასებია: სადახლო-მარნეული (სომხეთის საზღვარი), თბილისი-წითელი ხიდი (აზერბაიჯანის საზღვარი); ფონიჭალა-მარნეული-გუგუთი (სომხეთის საზღვარი). შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებია: სადახლო-წოფი-ახკერპი (სომხეთის საზღვარი), მარნეული–თეთრიწყარო-წალკა, შულავერი წითელი-ხიდი, შულავერი-შაუმიანი-სიონი-წერაქვი, მარნეული-ალგეთი-აზიზქენდი, წერეთელი-ნორგიული-მუღანლო-ქესალო.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასევე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის სარკინიგზო მაგისტრალი, რომელიც საქართველოს აკავშირებს სომხეთის რესპუბლიკასთან და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობის, აგრეთვე, ბუნებრივი აირის მილსადენები.

საავტომობილო გზების საერთო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, 2020–2023 წლებში მარნეულის მუნიციპალიტეტში განხორციელდა, როგორც საგზაო, ასევე, სასმელი წყლის მომარაგების და განათების კუთხით ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე, რეგიონული განვითარებისა და ევრო ბანკის დაფინანსებით რეაბირიტირებული იქნა შიდა სახელმწიფოებრივი დანიშნულების გზები. მთლიანობაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის დაიხარჯა 24 706 983– მდე ლარი. ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბოლო სამ წელში დაიხარჯა 4 108 882 ლარამდე.

მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი რუსთავი - წითელი ხიდისა და რუსთავი - სადახლოს გზის სრული რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გადაადგილებისა და ტვირთების გადატანის ძირითად საშუალებას საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში სატრანსპორტო საშუალებები ძირითადად წარმოდგენილია მუნიციპალური და კერძო სატრანსპორტო ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული ავტობუსების და სამარშრუტო ტაქსების სახით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამგზავრო გადაყვანებს უზრუნველყოფს შ.პ.ს. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი“, რომლის 100%–იანი წილის მფლობელი მუნიციპალიტეტია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო მაგისტრალი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საგარეუბნო მიმოსვლისათვის.

ქ. მარნეულის უბნების დაახლოებით 20% და მუნიციპალიტეტის 4 სოფელი უზრუნველყოფილია ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით, დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში საკანალიზაციო სისტემის მოწყობის საჭიროებაა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დაახლოებით 85 % უზრუნველყოფილია სასმელი წყლით, 2013 წლის დასაწყისში სასმელი წყალი მიეწოდებოდა მხოლოდ მოსახლეობის 20%-ს. მარნეულის მუნიციპალიტეტი სისტემატურად ახორციელებს მილსადენების რეაბილიტაციას, ასევე ჭაბურღილების მოწყობას, სასმელი

წლის მიწოდებას ახდენს სამი კომპანია: შ.პ.ს. ,,გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", შ.პ.ს. ,,რუსთავწყალი" და შ.პ.ს. ,,მარნეულის სოფწყალი".

2019 წლიდან მუნიციპალიტეტიტის ტერიტორიაზე აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით მიმდინარეობს მსხვილმასშტაბიანი პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ქ. მარნეულისა და მიმდებარე სოფლების 24 საათიან წყალმომარაგებას.

ასევე, 2020 განხორციელდა ალგეთისა და კაპანახჩის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლების სასმელი წყლის სისტების სრული რეაბილიტაცია.

ბუნებრივი აირის მიწოდებას მარნეულის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს შ.პ.ს. ,,სოკარ ჯორჯია გაზი". გაზიფიცირებულია მუნიციპალიტეტის 64 სოფელი, მათ შორის მაღალმთიანი დასახლებიის სოფლები.

2016 წელს, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელდა ,,დებედა ჰესი"–ს (3 მვტ სიმძლავრის) მშენებლობა, რომლის სათავე კვანძი მოეწყო ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის მონაკვეთზე. სავარაუდოდ ჰესის წლიური გამომუშავება იქნება 14 მლნ კილოვატი.

ელექტრო სისტემის განვითარების მიზნით, მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენდა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი 500 კვ–იანი ახალი ქვესადგურის „მარნეული 500" , რამაც გაიზარდა ენერგოსისტემის საიმედოობა და ხელი შეუწყო მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიით რეგიონალურ ვაჭრობას.

2.3.2 ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტს ტურიზმის განვითარების კარგი პოტენციალი აქვს, რისთვისაც მნიშვნელოვანია ტურისტული და გასართობი ინფრასტრუქტურის მოწყობა. მარნეულის მუნიციპალიტეტი თვითმმართველობა აქტიურად აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტიდან ტურისტული ობიექტების მოწყობასა და ინფრაქსტრუქტურული პროექტების განხორციელებას. კერძოდ:

- 2015 წელს, თანამედროვე სტანდარტებით აღიწერა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 112 კულტურული ძეგლი, რომლების უმრავლესობას მიენიჭა კულტურული ძეგლის სტატუსი.
- ასფალტ ბეტონის და ბაზალტის ფლეთილი ქვებით სრულიად მოეწყო წერაქვის ღვთისმშობლის სამონასტრო კომპლექსში მისასვლელი გზა (500გ/მ).
- „გადაჭრილ გორა"- ზე, წყალდიდობის შედეგად არქეოლოგიური ძეგლის დაზიანების თავიდან ასაცილებლად აშენდა ნაპირსამაგრი ნაგებობა (გაბიონი) 90 გ/მ.
- 2016 წლიდან საფუძველი ჩაეყარა და ყოველწლიურად თვითმმართველობის დაფინანსებით და ღვინის სააგენტოს მხარდაჭერით, ადგილობრივი მეწარმეების მონაწილეობით ქ. მარნეულში, ღვინის კვირეულის ფარგლებში ტარდება „ღვინის დღე", რომელსაც უამრავი უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტორი ესწრება.
- მოეწყო და მარკირებული იქნა სამთო-საფეხმავლო ბილიკი (წოფი-სიონი-ყუდრო-მამხუტი) 32,0 კმ.

- კერძო სექტორში აშენდა საოჯახო სასტუმროები, ღვინის მარნები და სწრაფი კვების ობიექტები.
- „გადაჭრილი გორა“-ს გადახურვისა და მიმდებარე ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ჩატარდა საპროექტო სახართაღრიცხვო სამუშაოები. მიმდინარეობს ფიზიკური სამუშაოების მომზადება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს სამი მუზეუმი, ფუნქციონირებს ხალხური ცეკვისა და სიმღერის რამდენიმე ანსამბლი. მათი პოპულარიზაცია და ჩართვა ტურიზმის განვითარების მხრივ საკმაოდ პერსპექტიულია. მუნიციპალიტეტში ერთ–ერთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტია – ფესტივალი „ერთიანი კავკასია“ (ONE CAUCASUS). ეს არის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც მარნეულის მუნიციპალიტეტში, კერძოდ სოფელ წერაქვში, 2014 წლიდან იმართება და ახორციელებს მრავალფეროვან პროგრამას სამი მეზობელი კულტურის გადაკვეთაზე **(საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი).**

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

მუნიციპალიტეტი ორიენტირებულია, რომ სოფლებშიც მოხდეს ეკონომიკური საქმიანობების გააქტიურება და ადგილობრივმა მოსახლეობამ გაიუმჯობესოს სოციო - ეკონომიკური მდგომარეობა.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში საავადმყოფოებისა და სამედინო ცენტრების რაოდენობაა 5 (2 პედიატრიული კლინიკა, 2 სამშობიარო, 1 საავადმყოფო - მრავალპროფილიანი), ხოლო ამბულატორიული ცენტრებისა და პოლიკნიკების რაოდენობა - 21.

მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განაწილებულია სოფლის ექიმები და ექთნები. სოფლის ექიმთა რაოდენობა შეადგენს 41-ს, რაც ბოლო 4 წლის განმავლობაში გაზრდილია 4-ით. ასევე ფუნქციონირებს გადაუგებელი სასწრაფო დახმარების სერვისი: ქ. მარნეულში - 2 ბრიგადა, 1 კატასტროფის; შაუმიანში - 1 ბრიგადა: ქურთლიარში - 1 ბრიგადა: დამია გეურარხში - 1 ბრიგადა.

მარნეულის მუნიციპალიტეში განხორციელდა ღონისძიებები შშმ პირების გარემო პირობებთან ადაპტაციისათვის. მოეწყო პანდუსები, მუნიციპალურის სერვისები ადმინისტრაციულ შენობაში განთავსდა პირველ სართულზე. ასევე შექმნილია შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე მომუშავე საბჭო, რომლის ინიციატივით მუნიციპალური ტრანსპორტით შშმ პირები უფასოდ გადაადგილდებიან.

სოფელ ყიზილაჯლოში არსებობს სენსორული პრობლემების მქონე ,,ბავშვთა ადრეული ჩარევის ცენტრი“, სადაც ამჟამად 25 ბენეფიციარი სწავლობს. ცენტრის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის, განსაკუთრებით, სენსორული დარღვევების (მხედველობისა და სმენის დარღვევების)

მქონე ბავშვების დამოუკიდებლობის ხარისხის, მათი ოჯახების მხარდამჭერი სერვისის განვითარებისა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა.

აღსანიშნავია, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში მრავალფეროვანი ადგილობრივი სოციალური პროგრამებია, რაც მეტწილადად ავსებს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების საჭიროებებს.

2.5. განათლება, კულტურა და სპორტი

მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია, როგორც საშუალო, ისე სკოლამდელი განათლების, ასევე კულტურისა და სხვადასხვა სპორტის სფეროს დაწესებულებები. განათლების ინფრასტრუქტურა შედარებით კარგ მდგომარეობაშია, თუმცა, საჭიროა საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა და დამატება მუნიციპალიტეტში.

2.5.1 განათლებაზე ხელმისაწვდომობა

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 14 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, აქედან, 3 საბავშვო ბაღი მდებარეობს ქ. მარნეულში, ხოლო 11 სოფლებში (2 ავარიულ მდგომარეობაშია, ერთში სარემონტო სამუშაოები შეჩერებულია). ქ. მარნეულში, ასევე, ფუნქციონირებს 1 კერძო საბავშვო ბაღი.

სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვების მატების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ აქტიურად მიმდინარეობს საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი. 2020–2023წწ ქ. მარნეულში, ელევატორის ტერიტორიაზე მცხოვრები ლტოლვილი მოსახლეობისთვის ახალი საბავშვო ბაღი აშენდა. რეაბილიტაცია ჩაუტარდა 2 საბავშვო ბაღს.

ამასთანავე სკოლებში განთავსებულია ,,სასკოლო მზაობის ცენტრი", რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო ასაკის ბავშვების განათლების დონის ამაღლებას. საბავშვო ბაღის აღსაზრდელების რაოდენობაა –2079, სასკოლო მზაობის ცენტრები იღებენ 560 ბავშვს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში 76 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა, მათ შორის ორი კერძოა. მოსწავლეთა რაოდენობა 20115 -მდეა.

2.5.2 კულტურისა და სპორტის სერვისები

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 15 კულტურული და საგანმანათლებლო პროფილის დაწესებულება, მათ შორის 1 სამუსიკო სკოლა, 7 კულტურის სახლი, 5 ბიბლიოთეკა და 3 მუზეუმი. ამ დაწესებულებათა შენობებისა და ინფრასტრუქტურის ნაწილი სარეაბილიტაციოა ან კოსმეტიკურ შეკეთებას საჭიროებს. 2016 წელს ქ. მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე აშენდა თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა.

მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ბაზაზე ფუნქციონირებს თეატრალური სამოყვარულო დასი, რომელიც დაკომპლექტებულია ენთუზიასტი მსახიობებით, სამომავლოდ იგეგმება დასის პროფესიონალურ

დასად ჩამოყალიბება. კულტურის სახლში მოქმედებს 2 ქორეოგრაფიული და ერთი სამეჯლისო ცეკვის სტუდია აგრეთვე ვოკალურ ინსტრუმენტალური და ხალხური სიმღერის ასამბლები მათ შორის აზერბაიჯანული ხალხური სიმღერებისა და საკრავების წრე. ასევე, ფუნქციონირებს ხალხური რეწვის სტუდია.

მარნეულის მუნიციპალიტეტში პრიორიტეტს წამოადგენს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ახალგაზრდა თაობაში ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა, მათი წარმატებებისთვის სათანადო პირობების შექმნა, ტრადიციული სპორტის სახეობების შენარჩუნება და განვითარება. ასევე, მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული რესურსის პოპულარიზაცია, ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტურნირების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს, როგორც ახალგაზრდების სპორტით დაინტერესებას, ასევე, მუნიციპალიტეტში დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვას და ეკონომიკურ გაძლიერებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ფუნქციონირებს 3 სპორტული დარბაზი (ქ. მარნეულის ძიუდოს დარბაზი და ,,ათაჰოლდინგი“-ს დარბაზი) და 40 -მდე სპორტული მოედანი.

დაგეგმილია სპორტული მოედნების მშენებლობა წერეთელში, ალგეთში და სადახლოში.

2020 წელს დაიწყო ქალაქ მარნეულში მდებარე ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ფიფა-ს მე-2 კატეგორიის სტანდარტი) , სავარაუდო ღირებულება შეადგენს 6,000,000 ლარს.

მუნიციპალიტეტში დასაქმებულია 65 მწვრთნელი, განვითარებულია სპორტის 19 სახეობა, ფუნქციონირებს 70 სპორტული ჯგუფი და სპორტით დაკავებულია 1600 -მდე ახალგაზრდა. ყოველ წელს, მარნეულის მუნიციპალიტეტში ტარდება სხვადასხვა რანგის ტურნირები, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში (საერთაშორისო ტურნირი, საქართველოს ჩემპიონატი, სპორტული ფესტივალი, ქვემო ქართლის ჩემპიონატი, რაიონული ჩემპიონატი, სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტული კვირეული და საჩვენებელი გამოსვლა სხვადასხვა სახეობებში, როგორც პროფესიულ, ასევე სამოყვარულო, სკოლებსა თუ ორგანიზაციებს შორის). მარნეულის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდები აქტიურად არიან დაკავებული ჯანსაღი ცხოვრების წესით, წლიდან წლამდე იზრდება სპორტული სახეობების, ჯგუფებისა და სპორტსმენების რაოდენობა. ბოლო 2 წლის მანძილზე, სხვადასხვა რანგის ტურნირებზე, სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში მოიპოვეს - 143 ოქროს; 126- ვერცხლისა და 165 ბრინჯაოს მედალი. მათ შორის 119 საერთაშორისო ტურნირის მედალი. 4 მსოფლიო ჩემპიონატის მედალი, ევროპის თასის ოქროს მედალი, ევროპის ჩემპიონატის 5 მედალი.

მიუხედავად მიღწეული წარმატებებისა, გამოწვევად რჩება თანამედროვე სპორტული კომპლექსის არარსებობა ქალაქ მარნეულში. ამ ეტაპზე, მსგავსი სპორტული კომპლექსი ქვემო ქართლის რეგიონში არ ფუნქციონირებს. მარნეულის გეოგრაფიული მდებარეობა, მჭიდრო კონტაქტები აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკებთან, კომპლექსის აშენების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს არა მარტო სპორტის განვითარებას, არამედ, მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ გაძლიერებას.

მარნეულის მუნიციპალიტეტში სკვერებისა და პარკების საერთო 30 ერთეულს სცილდება, რომელთა საერთო ფართიც შეადგენს 27,874 m^2-ს. 2023 წლიდან მიმდინარეობს ქალაქ მარნეულში, მდებარე სკვერის ,,კიდევც დაიზრდებიან"რეაბილიტაცია.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილია ახალგაზრდული საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია 18 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ახალგაზრდებით და უწყობს ხელს ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას თვითმმართველობის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს შეიქმნა ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც თანდართული სამოქმედო გეგმითურთ გაწერილია 3-წლიან პერიოდზე(2020-2022) და მოიცავს აქტივობებს 5 სტრატეგიული მიმართულებით. ესენია:

1. ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა;
2. ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა;
3. ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი გარემოს შექმნა;
4. ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა;
5. ახალგაზრდებისთვის თანასწორი განვითარების შესაძლებლობების შექმნა;

ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი ახალგაზრდების ინტეგრაცია და სამოქალაქო თანაცხოვრებაში აქტიური ჩართულობა. რაც შეეხება არაპირდაპირ, გრძელვადიან შედეგს, ახალგაზრდების გააქტიურება, მრავალმხრივი განვითარება, შესაძლებლობების რეალიზება, დასაქმება და ინტეგრაცია საბოლოო ჯამში მუნიციპალიტეტს მოუტანს მეტ განვითარებასა და მატერიალურ დოვლათს. დაგეგმილია კვლევების ჩატარება დოკუმენტის გასაახლებლად, ახალი პროგრამის შექმნა.

2.6. გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდინარეთა ხშირი ქსელია. მდინარეები გამოიყენება როგორც სასმელი, ასევე, სარწყავი დანიშნულებით. არსებული წყლის რესურსი მოსახლეობის სასმელი წყლით და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სარწყავი წყლით მთლიანად დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა.

მუნიციპალიტეტში ტყის მთლიანი ფონდი შეადგენს 14,583 ჰა-ს და მისი გამოყენება, ძირითადად, შეშის დასამზადებლად ხდება. გავრცელებულია ურეოიან-ვაციწვერიანი და ჯაგ-ეკლიანი სტეპური, ჰემიქსელური მეჩხერი, ჭალისა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობა.

გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით მარნეულის მუნიციპალიტეტი სისტემატიურად აწყობს არსებულ მდინარეებზე ნაპირსამაგრებს - მდინარე ალგეთზე და მდ. დებედაზე განხორციელდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

მარნეულის მუნიციპალიტეტში ზაფხულის სეზონზე აღინიშნება ქვეწარმავლების მომრავლება, აღნიშნული მიმართულებით მოხდა სპეციალისტების გადამზადება, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მოახდენენ რეაგირებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავებას და ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) პირი ,,სუფთა მარნეული", რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 50%-ს (52,965 მოსახლე). მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ქ. მარნეულის ნაგავსაყრელი, რომლის ფართობი 76,000 $მ^2$-ია. ასევე, ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმო შ.პ.ს. ,,ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმო", რომელიც უზრუნველყოფს ორგანული ნარჩენების გადამუშავებას და მიღებული პროდუქცია (კომპოსტი) წარმოადგენს ნიადაგის გამამდიდრებელ ორგანულ სასუქს.

მუნიციპალიტეტში დამტკიცებულია ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმა'', სადაც გაწერილი მიზნების, ამოცანების და აქტივობების შესაბამისად, ხელი ეწყობა ნარჩენების მართვის სისტემის სრულყოფას, სუფთა და ჯანსაღი გარემოს თანამედროვე სტანდარტებით დანერგვას.

2.7 მუნიციპალური სერვისები და მმართველობა

ქალაქ მარნეულში, ფუნქციონირებს ,,იუსტიციის სახლი", რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობისა და იურიდიული პირებისათვის სახელმწიფო საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებას. 2015 წელს სოფელ სადახლოსა და 2019 წელს სოფელ კაჩაგანში აშენდა ,,საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი", რომელმაც უფრო გააუმჯობესა მუნიციპალიტეტის 18 სოფლის საზოგადოებრივი მომსახურება.

მუნიციპალიტეტს ჰყავს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი და 33 წევრისაგან შემდგარი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, რომლის 18 წევრი არჩეულია მაჟორიტარული, ხოლო 15 წევრი პროპორციული სისტემით.

მუნიციპალიტეტის მერიაში ფუნქციონირებს 9 სამსახური, ხოლო საკრებულოში 5 კომისია.

მზარდია მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რაც იძლევა საშუალებას დაიგეგმოს სხვადასხვა პროექტი, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებას. 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები (2023 წლის 12 სექტემბრის დადგენილება N23 ის მიხედვით) გათვალისწინებულია 57455,3 ათასი ლარის ოდენობით, საიდანაც თითქმის 83 % არის საკუთარი შემოსავლები. 2023 წლის ბიუჯეტის

ასიგნებები შეადგენს 69676,2 ათას ლარს, საიდანაც ამ ეტაპზე ბიუჯეტის 45% არის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, ამ ეტაპზე დასუფთავების და გარემოს დაცვის ღონისძიებებზე ძირითადად მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებიდან მოდის 2023 წლის ბიუჯეტის 11%, განათლებაზე- 10,6%, კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით -8,1%, მოსახლეობის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის კუთხით -5% (მოიცავს მეტწილად მუნიციპალიტეტის საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყოფილ დაფინანსებას.

3.SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხაარეები
• მუნიციპალიტეტის სიახლოვე ქ. თბილისთან, რეგიონულ ცენტრთან, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების არსებობა; • ურბანიზაციის მაღალი დონე; • ხელსაყრელი-ბუნებრივ კლიმატური პირობები სასოფლო-სამეურნო პროდუქციის საწარმოებლად; • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სიმრავლე და სხვადასხვა სპორტული სექციების ფუნქციონირება; • მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები (ბაზალტი, ინერტული მასალები); • ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე;	• სამუშაო ძალისა და პროფესიონალების ნაკლებობა; • ბუნებრივი რესურსების არასაკმარისად ათვისება; • ფინანსური ისტიტუტების სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწდომობა; • სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, აგროსაწარმოებისა და ლოჯისტიკის განვითარების არასათანადო დონე; • ფერმერთა შორის კოოპერაციის დაბალი დონე; • სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემკრები, შესანახი მაცივარ/საწყობების და გადამამუშავებელი ობიექტების ნაკლებობა; • დასახლებების იერსახის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა; • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწისქვეშა კომუნიკაციების (საკანალიზაციო და სანიაღვრე) გაუმართაობა; • ტურისტული მომსახურეობის დაბალი დონე; • შიდა გზების და ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი გზების ცუდი მდგომარეობა; • ამბულატორიების მცირე რაოდენობა; • ნაწილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების და კულტურული დაწესებულებების გაუმართავი ინფრასტრუქტურა და დამატებითი საჭიროებები;

შესაძლებობები	საფრთხეები
● საერთაშორისო ბაზრებზე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდა; ● სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა; ● ტრანსასაზვრო თანამშრომლობის პერსპექტივების გამოყენება რეგიონებსშორისი პროექტების განსახორციელებლად; ● განახლებადი და ეკოლოგიურად უსაფრთხო ენერგორესურსების გამოყენება; ● სამრეწველო ინდუსტრიის განვითარების პოტენციალი; ● წყალმომარაგების და კალიზაციის ქსელის მოძველებული ნაწილის რეაბილიტაციის შესაძლებლობა; ● შიდა გზების და ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეაბილიტავია/მოწყობა; ● სატრანსპორტო სერვისის გაუმჯობესება; ● დასახლებები იერსახის გაუმჯობესება და ტურისტების მოსაზიდად შესაბამისი გარემოს შექმნა; ● განათლების სისტემის ადაპტირება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან; ● ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წახალისება.	● ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი; ● ბუნებრივი სტიქიები; ● სატყეო ფონდის შემცირება და გარემოს დეგრადაცია; ● N1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქიმიური ნივთიერებების შესანახი საწყობი; იაღლუჯის საძოვრებზე არსებული სახიფათო ნარჩენები;

4. განხორციელების მექანიზმი

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება დოკუმენტით წარმოდგენილი გეგმებისა და ხედვების განხორციელებისას გაითვალისწინებს შემდეგ პრინციპებს:

გამართული კოორდინაცია სხვადასხვა მხარეებთან - პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების შედეგიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ყველა საჯარო უწყების ეფექტურ კოორდინაციაზე. განსაკუთრებული როლი უჭირავს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის კოორდინაციას ცენტრალურ ხელისუფლებასთან. იმისთვის რომ ადგილობრივ დონეზე განხორციელებული პროექტები იყოს ხარჯეფექტიანი მართველობის ორ დონეზე დაგეგმილი ღონისძიებები ერთმანეთს უნდა ავსებდეს, არ ხდებოდეს აქტივობების გამეორება და იყოს მჭიდრო კომუნიკაცია ორივე მხარეს შორის. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მოხდება ცენტრალური ხელისუფლების გეგმებისა და ხედვების გათვალისწინება ადგილობრივი პოლიტიკის დაგეგმვისას, მჭიდრო იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებთან კოორდინაცია.

პარტნიორობა - პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურად მიღწევისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პარტნიორობა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პარტნიორობა გათვალისწინებული არის როგორც დოკუმენტის შემუშავების ეტაპზე, ისე მისი განხორციელების ეტაპზე. თითოეულ მხარეს სექტორი თუ სხვა , აქვს საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ერთიანი მიზნებისა და ამოცანების მიღწევაში. შესაბამისად, პარტნიორობის პრინციპი იქნება ერთ-ერთი ფუძე დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნებისა და ამოცანების მიღწევისთვის აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელებისას.

კანონიერების პრინციპი - ფინანსური სახსრების ხარჯვა მოხდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ფუნქციები მართველობის სხვადასხვა დონეზე მკაფიოდ იქნება გამიჯნული და გადანაწილებული. ფინანსური პასუხისმგებლობა დაეკისრება აქტივობის დამფინანსებელ ორგანიზაციას.

წინამდებარე სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნების, ამოცანების, აქტივობების, აქტივობის შედეგის ინდიკატორის, განხორციელების პერიოდის, შესაბამისი ბიუჯეტის, დაფინანსების წყაროსა და განმახორციელებელი უწყების შესახებ კორსოლიდირებულ ინფორმაციას.

სამოქმედო გეგმის ხანგრძლივობა შეადგენს 2 წელს.

ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე განხორციელდება არსებულის მონიტორინგი და შეფასება, რაც საფუძველი იქნება მომდევნო 2 წლიანი პერიოდის მეტად ეფექტურად და ხარჯეფექტიანად დასაგეგმად. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება მთლიანი დოკუმენტის შუალედური შეფასების ნაწილს წარმოადგენს.

შედეგად, შესაძლებელია სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანა, თუმცა საჭიროა აღნიშნული ცვლილებების მიზანშეწონილობის დასაბუთება.

მუნიციპალიტეტის ხელისუფლება აქცენტს გააკეთებს მომდევნო პერიოდში ყველა მიზნისა და ამოცანის მოცვაზე და ამისთვის აქტიურად იმუშავებს დამატებითი ფონდების მოძების თუ საკუთარი ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფის კუთხით.

ეკონომიკის წამყვანი დარგების განვითარების ხელშეწყობა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით

აგრო წარმოების განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი ბაზრების განვითარების სტიმულირება

1. სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოდერნიზაცია, როგორიცაა გზები, სარწყავი და წყალმომარაგების სისტემები.
2. კერძო ინვესტიციების მოზიდვა სოფლის მეურნეობაში პარტნიორობისა და სარეკლამო კამპანიების მეშვეობით.
3. სასოფლო– სამეურნეო კოოპერატივების ჩამოყალიბების წახალისება.
    - საინფორმაციო მხარდაჭერა: მერიას შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია და რჩევები მეწარმეებს და მოსახლეობას კოოპერატივების შექმნის უპირატესობებისა და პროცედურების შესახებ, მათ შორის სუბსიდიების, საგადასახადო შეღავათებისა და ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმების შესახებ.

    - ტრენინგი და განათლება: მერიას შეუძლია მოაწყოს ტრენინგ-სემინარები, კურსები და სემინარები კოოპერატივის მენეჯმენტის, ბუღალტერიის, მარკეტინგის და წარმატებული ბიზნესის წარმართვისთვის აუცილებელ სხვა უნარ-ჩვევებზე.

    - კოოპერატიული ცენტრების შექმნა: მუნიციპალიტეტს შეუძლია დაეხმაროს კოოპერატივების ცენტრების ან ინკუბატორების ჩამოყალიბებაში, უზრუნველყოს ინფრასტრუქტურა, მომსახურება და რესურსები კოოპერატიული სექტორის განვითარებისთვის.

    - ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივება: მერიას შეუძლია კოოპერატივების რეგისტრაციისა და ლიცენზირების პროცედურების გამარტივება, ბიუროკრატიული ბარიერების შემცირება და პროცესების დაჩქარება.

    - პარტნიორობა ადგილობრივ ორგანიზაციებთან: მუნიციპალიტეტს შეუძლია პარტნიორობა გაუწიოს ადგილობრივ ბიზნეს ასოციაციებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს კოოპერატიული მხარდაჭერისა და ცოდნის გაზიარების ქსელის შესაქმნელად.

- რეკლამა და პოპულარიზაცია: მერიას შეუძლია დაეხმაროს კოოპერატივების მიერ მოწოდებული პროდუქტებისა და სერვისების პოპულარიზაციას ადგილობრივი მედიისა და მარკეტინგული ინიციატივების მეშვეობით.

- ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნა: მუნიციპალიტეტს შეუძლია იმუშაოს ზოგადად ბიზნესის განვითარებისთვის ისეთი პირობების შექმნაზე, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, უსაფრთხოება და ბაზრებზე წვდომა.

- მონიტორინგი და შეფასება: მერიას შეუძლია ჩაატაროს მონიტორინგი და შეაფასოს თავისი ერთობლივი მხარდაჭერის პროგრამების შედეგები, რათა უზრუნველყოს მათი ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს კორექტირება.

- კოოპერაციული კულტურის ხელშეწყობა: მუნიციპალიტეტს შეუძლია განახორციელოს საინფორმაციო კამპანიები და ღონისძიებები ადგილობრივ საზოგადოებაში კოოპერატივების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ხელშეწყობის მიზნით.

4. არსებული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების შენობა -ნაგებობების შესწავლა/ მოძიება.
5. არსებული მიწის ფონდის აღწერა, შესწავლა და კლასიფიკაცია.

6. ადგილობრივი ბაზრობებისა და ბაზრების ორგანიზება ადგილობრივი საქონლის გასაყიდად.
7. სასოფლო – სამეურნეო საწარმოებისა და ბაზრების ხელშეწყობის შედეგების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის დანერგვა.
8. სოფელ ბაილარში, კირაჩ–მუღანლოში, აზიზქენდში ახალი წყლის ტუმბოების დამონტაჟება, დიოკნისში არსებული ტუმბოს შეკეთება.

კომფორტული საინვესტიციო გარემოს შექმნა

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო შესაძლებლობების აქტიური რეკლამა, მონაწილეობა საინვესტიციო ფორუმებსა და ბაზრობებში.
2. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტრენინგის და გადამზადების პროგრამების ორგანიზება მათი კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების მიზნით.
3. საინვესტიციო გარემოს რეგულარული შეფასებების ჩატარება და ინვესტორებისგან უკუკავშირის შეგროვება.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

1. ადგილობრივი მოსახლეობისთვის ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის სფეროში ტრენინგ პროგრამების ორგანიზება.

2. ტურისტული მარშრუტების შექმნა ფერმერულ და საოჯახო მეურნეობებში.
3. გასტრონომიული ფესტივალებისა და ადგილობრივი სამზარეულოსადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზება.
4. ისტორიული და კულტურული ძეგლების შენარჩუნება და აღდგენის მხარდაჭერა, გაგის ციხესთან, გორულის ნაქალაქართან, ბინაძორის ეკლესიასთან მისასვლელი გზის და მოედნის მონტაჟი.
5. ტუროპერატორებთან პარტნიორობის დამყარება და მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტული მიმართულების პოპულარიზაცია.
6. ტურისტებისთვის საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება ბუნებისა და გარემოს დაცვის შესახებ.
7. ტურისტების მოსაზიდად მარკეტინგული მასალების და სარეკლამო კამპანიების შექმნა.
8. შედეგების ანალიზი და გამოხმაურების შეგროვება ტურისტებისა და ადგილობრივი მოსახლეობისგან.

მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი პრიორიტეტები და მათი შესაბამისი შედეგები, რომელთა დადგომაც ივარაუდება შემდგომი 4 წლის განმავლობაში შესაბამისი მუნიციპალური პროექტებისა თუ პროგრამების განხორციელების შედეგად.